საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღთქმა

აღთქმა, დაპირება, პირობა, სიტყვის მიცემა. ბიბლიის ქართული თარგმანების ტექსტში და, აქედან, მთელ ქართულ ორიგინალურსა თუ თარგმნილ ქრისტიანულ ლიტ-რაში ა. ნიშნავს ღვთის კავშირს ადამიანებთან, მათ შორის პირობის, ხელშეკრულების დადებას. ბიბლია შედგება ძველი ა-ისა (ქვეყნიერებისა და კაცთა მოდგმის ისტორია ქრისტემდე) და ახალი ა-გან (ოთხი სახარება და სხვა წიგნები). ამით გამოიხატება ქრისტიანული თვალსაზრისი, რ-ის თანახმადაც ქრისტემ აღადგინა დარღვეული კავშირი ღმერთსა და ადამიანებს შორის.

რ. თვარაძე